

ვებგვერდი, 03/10/2014  
სარეგისტრაციო კოდი  
350050000.10.003.018203

**საქართველოს მთავრობის  
დადგენილება №583  
2014 წლის 2 ოქტომბერი ქ. თბილისი**

**„საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო  
სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის  
2012 წლის 30 აპრილის №157 დადგენილებაში ცვლილების შეტანის  
თაობაზე**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 30 აპრილის №157 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 03/05/2012, 350050000.10.003.016830) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1.** „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის აღწერის მომზადებისა და ჩატარების საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის, აგრეთვე, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების შეთანხმებული მოქმედების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

**დავით შავლიაშვილი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

**ნოდარ ხადური** – საქართველოს ფინანსთა მინისტრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**მერი დაუშვილი** – სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**გიორგი კვირიკაშვილი** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი, კომისიის წევრი;

**თეა წულუკიანი** – საქართველოს იუსტიციის მინისტრი, კომისიის წევრი;

**ირაკლი ალასანია** – საქართველოს თავდაცვის მინისტრი, კომისიის წევრი;

**ოთარ დანელია** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, კომისიის წევრი;

**ლევან ყიფიანი** – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, კომისიის წევრი;

**გიორგი მღებრიშვილი** – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, კომისიის წევრი;

**ალექსანდრე ჭიკაძე** – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, კომისიის წევრი;  
**სოზარ სუბარი** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, კომისიის წევრი;  
**თამარ სანიკიძე** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, კომისიის წევრი;

**დავით სერგეენკო** – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, კომისიის წევრი;

**გელა დუმბაძე** – დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, კომისიის წევრი;

**პაატა ზაქარეიშვილი** – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, კომისიის წევრი;

**მაია ფანჯიკიძე** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, კომისიის წევრი;

**ვახტანგ ყოლბაია** – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

**არჩილ ხაბაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

**დავით ნარმანია** – ქალაქ თბილისის მერი, კომისიის წევრი;

**იოსებ ბაღათურია** – სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

**თამარ ქალდანი** – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, კომისიის წევრი;

**თენგიზ ცეკვავა** – სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;

**პაპუნა უგრეხელიძე** – სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

**თამარ ჟვანია** – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

**პაატა შავიშვილი** – სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველოს უფროსი, კომისიის პასუხისმგებელი მდივანი.“.

## **მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

*ირაკლი ღარიბაშვილი*